სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 მაისი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/92

ბსუ-ს **უმაღლესი** საგანმანათლებლო პროგრამის **<u>კომპონენტის განმახორციელებლის</u>**
<u>წინასწარი თანხმობის</u> ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 ივნისის №01-02/75 ბრძანების „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების, ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის", „ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შესასრულებელი საათობრივი ანაზღაურების ოდენობის (ტარიფების) განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 29 სექტემბრის №01-10/112 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის <u>კომპონენტის</u> (სასწავლო კურსის (საგნის), პრაქტიკის, ნაშრომის, სხვა კომპონენტის საათები: ლექცია/ჯგუფში მუშაობა/კურაცია/ლაბორატორიული/პრაქტიკა/ნაშრომის ხელმძვანელობა) **<u>განმახორციელებლის წინასწარი თანხმობის</u>** ფორმა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის წესის" (შემდეგში - **პროგრამის შემუშავების წესი)** და წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით, შესაბამისმა ფაკულტეტმა/ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის **სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს** ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლებთან **წინასწარი შეთანხმების პროცესის ორგანიზება** (წერილობითი კომუნიკაცია, ბსუ-ს შესაბამისი რეგულაციების დაგზავნა-გაცნობის მიზნით და კომუნიკაციის შედეგად ზეპირი თანხმობის მიღების შემთხვევაში, შესაბამისი პირის <u>მიერ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ,,წინასწარი თანხმობის ფორმის" შევსება,</u> რომელიც უნდა დაერთოს პროგრამის სამუშაო ჯგუფის მასალებს).
3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში (,,რექტორის აქტები"; ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები").

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს (დაეგზავნოს დარგობრივ დეპარტამენტებს და პროგრამების სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

„ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის წინასწარი თანხმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 25 მაისის №01-02/92 ბრძანების

№1 დანართი

წერილობითი განაცხადი (წინასწარი თანხმობა) ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის **კომპონენტის** განხორციელებაზე (სასწავლო კურსის (საგნის), პრაქტიკის, ნაშრომის ან/და სხვა კომპონენტის საათები: ლექცია/ჯგუფში მუშაობა/კურაცია/ლაბორატორიული/პრაქტიკა/ნაშრომის ხელმძვანელობა)	
განმცხადებლის (მონაცემთა სუბიექტი) **სახელი და გვარი**	
პირადი ნომერი	
მისამართი	
ტელეფონი	
ელფოსტა	
ინფორმაცია ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო **პროგრამის** (პროგრამების**) და კომპონენტის** (კომპონენტების) **შესახებ, რომლის განხორციელებაზე აცხადებს წინასწარ თანხმობას განმცხადებელი** (მონაცემთა სუბიექტი)	
ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო <u>პროგრამის დასახელება:</u> ---------- სწავლების საფეხური: ---------- (**შენიშვნა:** 1-ზე მეტი პროგრამის შემთხვევაში დაამატეთ გრაფები)	
ინფორმაცია განსახორციელებელი კომპონენტის (კომპონენტების) **შესახებ**	
კომპონენტის დასახელება: 1. ---------- (სასწავლო კურსის (საგნის), პრაქტიკის, ნაშრომის ან/და სხვა კომპონენტის საათები: ლექცია/ჯგუფში მუშაობა/კურაცია/პრაქტიკა/ნაშრომის ხელმძვანელობა) **კომპონენტის განხორციელების ადგილი:** ---------- (**შენიშვნა:** 1-ზე მეტი კომპონენტის შემთხვევაში დაამატეთ გრაფები)	
ბსუ-ს შინაგანაწესის და სხვა **რეგულაციების გაცნობის დადასტურება**	
<u>ვაცხადებ,</u> რომ წინამდებარე განაცხადზე ხელმოწერამდე **გავეცანი ბსუ-ს რეგულაციებს:** ბსუ-ს ეთიკის კოდექსი ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა“, ,,<u>ბსუ-ს შინაგანაწესი</u>“ (რომელიც განიხილება ბსუ-ს დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, **„**ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია“, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი“ (შემდეგში ,,აფილირების წესი“), ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“_და ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა სამართლებრივ აქტები (ბსუ-ს რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე <u>www.bsu.edu.ge</u>, ველში „იურიდიული ცნობარი“) **ვადასტურებ ხელმოწერით:** ---------- (ხელმოწერა)	
პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა	
წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას,** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა	

დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით **დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები** (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, საბანკო რეკვიზიტები, მიღებული განათლება, კვალიფიკაცია, შრომითი გამოცდილება, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა, მონაცემთა სუბიექტის განაცხადში (CV-ში) მითითებული ინფორმაცია), აგრეთვე **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები** (ნასამართლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ <u>საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების</u>, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა ან/და წინამდებარე განაცხადში აღნიშნული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბსუ-ში პერსონალის მართვის პოლიტიკით/სამსახურში მიღების შესახებ ბსუ-ს რეგულაციებით გათვალისწინებული პროცედურების/საქმიანობის/ვალდებულებების განხორციელების მიზნებისათვის.
მონაცემთა სუბიექტი **<u>ადასტურებს, რომ ინფორმირებულია</u>** ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ და ვიდეომონიტორინგის წესის შესაბამისად.

მონაცემთა სუბიექტი ასევე **<u>აცხადებს თანხმობას,</u>** რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში, ასევე მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულია, რომ ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად, ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდება დასაქმებულის პირად საქმეში არსებული ან/და ბსუ-ს ელექტრონული სერვისის საშუალებით წარმოდგენილი ავტობიოგრაფია/CV, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფოტო.
მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს წინასწარ თანხმობას** მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, საბანკო დაწესებულებებისა თუ ბსუ-ს ავტორიზაციის/ბსუ-ს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ჩართული დაწესებულებისათვის/პირებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.
მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.
მონაცემთა სუბიექტი **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების **შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება დასაქმებულთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმართვის მიზნებისათვის, სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.
მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** მონაცემთა სუბიექტის **უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დარღვევით.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს **ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს**, მათ შორის, ელფოსტაზე: <u>mariam.mamuladze@bsu.edu.ge</u>

მონაცემთა სუბიექტი აგრეთვე ინფორმირებულია, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე **გამოიხმოს წინამდებარე თანხმობა,** რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ---------- (ხელმოწერა)	
მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ არ არის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის **ნასამართლევი პირი ან/და პირი,** რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე **სასამართლომ ჩამოართვა** საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება **და აცხადებს თანხმობას,** ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად, ბსუ-ში დასაქმების შემთხვევაში, **წარმოადგინოს** ნასამართლობის ცნობა**,** რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით.	
განაცხადის შევსების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)	
მონაცემთა სუბიექტის ხელმოწერა:	---------- (ხელმოწერა)